ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 03 სექტემბერის № 41 913 ბრძანებით შექმნილი მუნიციპალიტეტის სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის

ოქმი N6

26 თებერვალი 2021 წ.

1. *ოქმის გამომცემი ორგანოს დასახელება: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური.*

2. *სხდომის დაწყების დრო: 15 : 00*
3. *სხდომის დასრულების დრო: 17 : 00*
4. *სხდომის ჩატარების ადგილი - ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია. მისამართი: ქალაქი ბაღდათი წერეთლის ქუჩა N 9.*

5. *სხდომას ესწრებოდნენ:*

მარეხი მშვენიერაძე - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე.
კახა გოგსაძე - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.
ლელა ფურცელაძე - ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი კომისიის წევრი.
ირინა ტყეშელაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე- კომისიის წევრი.
ნანა შოთაძე - ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სოციალური მუშაკი კომისიის წევრი.
ნოდარ ებანოიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - კომისიის წევრი.
ტარიელ ყიფიანი - მერის წარმომადგენელი სოფელ დიმის ადმინისტრაციულ ერთეულში.
ლევან კაცაძე - მერის წარმომადგენელი სოფელ როხის ადმინისტრაციულ ერთეულში.
ბეჟან ლილუაშვილი - მერის წარმომადგენელი სოფელ წითელხევის ადმინისტრაციულ ერთეულში.
ნუნუ ჩაბრავა -სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის დივანი.

ელექტრონული პლატფორმა zoom-ის გამოყენებით სხდომას დისტანციურად ესწრებოდნენ:
მაია ქამუშაძე - ააიპ „იმერეთის განვითარების ცენტრის“ - სოციალური მუშაკი.
მირანდა მანაგაძე - ააიპ „იმერეთის განვითარების ცენტრის“- დასაქმების სპეციალისტი.
დავით ჩხობაძე - ააიპ „იმერეთის განვითარების ცენტრის“ - დირექტორი

1. **განხილვის საგანი:**

გადაუდებელი რეაგირებისა და მოწყვლად ოჯახთა გაძლიერების“ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იმ საქმეების განხილვა, რომელიც შესწავლის მიზნით

1. [redacted] (პ/ნ [redacted]) მცხოვრები სოფელ დიმში, მეუღლე [redacted]
2. [redacted] (პ/ნ [redacted]) მცხოვრები სოფელ წითელხევში, მეუღლე [redacted]
3. [redacted] (პ/ნ [redacted]) მცხოვრები სოფელ როხში.

სამუშაო შეხვედრაზე განსახილველი ოჯახების „მოწყვლად ოჯახთა გაძლიერების პროგრამაში“ ჩართვის მიზნით შესწავლილ იქნა მერიის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სოციალური მუშაკის, ასევე იმერეთის განვითარების ცენტრის დასაქმების სპეციალისტის მიერ.

მოისმინეს საქმე N 1

ააიპ „იმერეთის განვითარების ცენტრის“ დასაქმების სპეციალისტის ინფორმაცია სოფელ დიმში მცხოვრები [redacted] ოჯახის საჭიროებებისა და მათი გაძლიერებისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.
აღინიშნა, რომ შესწავლის შედეგად ოჯახში აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის საჭიროება. ოჯახს აქვს შესაბამისი საქონლის სადგომი და შეუძლიათ მისი მოვლა-პატრონობა. [redacted] შვილებს შეუძინეს სამეცადინო მაგიდა და მობილური ტელეფონი, რათა მოსწავლემ შეძლოს ჩართვა ონლაინ სწავლებაში.
ბატონი [redacted] მუშაობდა მეზობლის ხელის ტრაქტორით და აღებულ თანხას უყოფდა მას. ოჯახს გაძლიერებისა და შემოსავლის მიღების მიზნით ესაჭიროება ხელის ტრაქტორი (მოტობლოკი) და ელექტრონული ცელი.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

ააიპ „იმერეთის განვითარების ცენტრი“ იღებს ვალდებულებას, ხელის ტრაქტორი (მოტობლოკი) და ელექტრონული ცელი შეუძინოს [redacted] ოჯახს.
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია გამოყოფს თანხას 1000 (ათასი) ლარის ოდენობით მსხვილფეხა საქონლის შესაძენად. გამოყოფილი თანხის მიზნობრივად მოხმარებაზე პასუხისმგებლობას იღებს მერის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში - ტარიელ ყიფიანი.

მოისმინეს საქმე N 2.

ააიპ „იმერეთის განვითარების ცენტრის“ დასაქმების სპეციალისტის ინფორმაცია სოფელ წითელხევში მცხოვრები [redacted] ოჯახის საჭიროებებისა და მათი გაძლიერებისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.
შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, მსხვილფეხა საქონლის საჭიროება. იმერეთის განვითარების ცენტრმა ბავშვებს შეუძინა სამეცადინო მაგიდა და საკვები პროდუქტები. [redacted] ოჯახის გაძლიერებისა და შემოსავლის მიღების მიზნით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მათთვის ხელის ტრაქტორის (მოტობლოკის) შეძენა.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

ააიპ „იმერეთის განვითარების ცენტრი“ იღებს ვალდებულებას, [redacted] ოჯახს შეუძინოს ხელის ტრაქტორი.
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია გამოყოფს თანხას 1000 (ათასი) ლარის ოდენობით მსხვილფეხა საქონლის შესაძენად, გამოყოფილი თანხის მიზნობრივად მოხმარებაზე პასუხისმგებლობას იღებს მერის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში - ბეჟან ლილუაშვილი .

მოისმინეს საქმე N 3

ააიპ „იმერეთის განვითარების ცენტრის“ დასაქმების სპეციალისტის ინფორმაცია სოფელ როხში მცხოვრები [redacted] ოჯახის საჭიროებებისა და მათი გაძლიერებისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ [redacted] შვილებთან ერთად ცხოვრობს მშობლების ოჯახში. მისმა მეუღლემ მიატოვა ოჯახი, რის გამოც შვილებს [redacted] და [redacted] შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემები, ბავშვებს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ესაჭიროება, სამედიცინო მომსახურება. ანა შექმნილი მდგომარეობის გამო ვერ ტოვებს შვილებს მშობლებთან, რომ დასაქმდეს სადმე და ამჟამად უმუშევარია. [redacted] მშობლებს საკუთარი შინამეურნეობის დასაწყებად ესაჭიროებათ დახმარება და ამ მიზნით, მათ სურვილი აქვთ, შევუძინოთ ხელის ტრაქტორი, ელექტრონული ცელი და მსხვილფეხა საქონელი. ოჯახს აქვს შესაბამისი პირუტყვის სადგომი.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

ააიპ „იმერეთის განვითარების ცენტრი“ იღებს ვალდებულებას, ხელის ტრაქტორი და ელექტრონული ცელი შეუძინოს [redacted] ოჯახს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში უზრუნველყოფს [redacted] და [redacted] სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას. ასევე გამოყოფს თანხას 1500 (ათასხუთასი) ლარის ოდენობით მსხვილფეხა საქონლის შესაძენად, გამოყოფილი თანხის მიზნობრივად მოხმარებაზე პასუხისმგებლობას იღებს მერის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში - ლევან კაცაძე.

მარეხი მშვენიერაძე - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი

კახა გოგსაძე - I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნანა შოთაძე - ბავშვისა და ოჯახის უფლებების დაცვის სოციალური მუშაკი

ნოდარ ებანოიძე -მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი -

ირინა ტყეშელაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

ლელა ფურცელაძე - ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი -

ტარიელ ყიფიანი - სოფელ დიმის წარმომადგენელი----------

ბეჟან ლილუაშვილი - სოფელ წითელხევის წარმომადგენელი----------

ლევან კაცაძე - სოფელ როხის წარმომადგენელი----------

სხდომის მდივანი: ნუნუ ჩაბრავა ----------

Baghdati Municipality

Digitally signed by Baghdati Municipality
Date: 2021.03.01 16:03:14 +04'00'